ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 1-4

"22" იანვარი 2010 წელი

№05
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"02" 02 2010 წ.
№240.130.000.36101.000.015

ქ. თბილისის მერიის 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული
"ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის" განსახორციელებლად
გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 47^2 მუხლის მე-4 პუნქტისა და "ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის №15-23 გადაწყვეტილების შესაბამისად ქ.თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მთავრობას ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული "ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს თანდართული პირობების გათვალისწინებით.

2. ქ. თბილისის მთავრობამ შეიმუშაოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებები დანართით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

3. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ალფაძე ზაალ სამადაშვილი

ქ. თბილისის საკრებულოს
2010 წლის 22 იანვრის
№1-4 გადაწყვეტილების
დანართი

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული "ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პირობები

1. დაფინანსდეს პროექტები, რომლებიც ხელს უწყობენ ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთს მაინც:

ა) ძველი თბილისისა და თბილისს შემოერთებული ტერიტორიების განვითარებას;

ბ) ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;

გ) ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას;

დ) ტურიზმის განვითარებას;

ე) წარმოების განვითარებას;

ვ) საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის თბილისელი მომხმარებლისათვის მიწოდებას.

2. იაფი ფინასური რესურსი ხელმისაწვდომი გახდეს თბილისში რეგისტრირებულ პირთათვის ახალი ბიზნესის დასაწყებად ან არსებულის განვითარებისათვის.

3. განაცხადის შემოტანა მოხდეს თბილისის მერიაში და განსახილველად გადაიგზავნოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ნებისმიერ პარტნიორ კომერციულ ბანკში, რომლისთვისაც მისაღები იქნება წინამდებარე პირობები.

4. პროქტის იაფი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს თბილისის მთავრობამ.

5. თბილისის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების ჩარიცხვა მოხდეს პარტნიორ ბანკში, სპეციალურ ანგარიშზე, ეტაპობრივად თბილისის მთავრობის მიერ დაფინანსების საკითხის დამტკიცების კვალობაზე.

6. სპეციალურ ანგარიშზე მთავრობა ბანკში განათავსებს დეპოზიტს გაცემული სესხების შესაბამისი თანხის ოდენობით წლიური 4 პროცენტიანი სარგებლის დარიცხვის პირობით.

7. პარტნიორ ბანკს შესაძლებლობა ექნება გასცეს სესხი წლიური 10%-იანი განაკვეთით.

8. სესხის გადახდის შეღავათიანი პერიოდი დამოკიდებული იქნება კონკრეტული სესხის გაცემის პირობებზე.

9. სესხის გაცემის პერიოდი იქნება მაქსიმუმ 60 თვე.

10. სესხის გაცემის საკომისიო იქნება ნული პროცენტი.

11. პროექტის ფარგლებში გაცემული სესხების ძირითადი თანხების დაფარვის კვალობაზე თბილისის მთავრობამ შეამციროს პარტნიორ ბანკში სპეციალურ ანგარიშზე განთავსებული თანხა.

12. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მონაწილე დაარღვევს პარტნიორ ბანკსა და მას შორის იაფი სესხით სარგებლობაზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს, მონაწილე გამოეთიშება პროგრამას და მის მიერ აღებული სესხის პირობები შესაბამისობაში მოვა პარტნიორი ბანკის სესხის გაცემის პირობებთან; ასეთ შემთხვევაში მთავრობა სესხის ნარჩენი ვალდებულების შესაბამის თანხას განკარგავს საკუთარი შეხედულებისამებრ.